გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 24

2023 წლის 10 თებერვალი
ქალაქი გორი

ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შექმნის შესახებ

„ტანისა და თემმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის სათათბირო ორგანოს (საბჭოს). სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შედის (შედიან) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) წარმომადგენელი (წარმომადგენლები) ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად. სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა, უფლებები, მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა, პროცედურული საკითხები განისაზღვრება სათათბირო ორგანოს (საბჭოს) დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 წლის 18 იანვარს შემოსულია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს N112 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში კანდიდატები სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თომა დეკანოიძე და დაგეგმვის და განვითარების სამსახურის უფროსის ნატო სულთანიშვილი. 2023 წლის 25 იანვარს შემოსულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N363/01 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში კანდიდატი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კარლო ამირგულაშვილი და 2023 წლის 25 იანვრის შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის მერის N20-2023025130 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში კანდიდატები ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი ბატონისაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი და დავით კვერნაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მრჩეველი. ამასთან, მიზანშეწონილია

სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შევიდნენ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარლენ ნადირაძე და საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ მელანაშვილი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და „ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად,

1. შეიქმნას ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად სათათბირო ორგანო (საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით რაზმაძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) თავმჯდომარე;

ბ) მარლენ ნადირაძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

გ) მერაბ მელანაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

დ) ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

ე) ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

ვ) გიორგი ბატონისაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

ზ) დავით კვერნაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მრჩეველი - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

თ) კარლო ამირგულაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

ი) თომა დეკანოიძე - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი;

კ) ნატო სულთანიშვილი - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვის და განვითარების სამსახურის უფროსი - სათათბირო ორგანოს (საბჭოს) წევრი.

2. დამტკიცდეს ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად სათათბირო ორგანოს (საბჭოს) დებულება დანართი N1 შესაბამისად (დანართი თან ერთვის ორ ფურცლად).

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი N1

სათათბირო ორგანოს (საბჭოს)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სათათბირო ორგანო (საბჭო) (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე შექმნილ სათათბირო ორგანოს.

2. ეს დებულება განსაზღვრავს საბჭოს შემადგენლობას, უფლებებს, მოვალეობებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა, პროცედურულ საკითხებს.

მუხლი 2. საბჭოს ამოცანები

საბჭოს ამოცანებია:

ა) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლა;

ბ) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესახებ შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილება

საბჭო უფლებამოსილია მოამზადოს ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესახებ შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება ათი წევრით.

2. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) წარმომადგენელი (წარმომადგენლები), გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გორის მუნიციპალირტეტის საკრებულო და მერიის წარმომადგენელი (წარმომადგენლები).

4. საბჭოს თავმჯდომარეა საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ საბჭოს თავმჯდომარის მიერ საკუთრი ინიციატივით ან საბჭოს მინიმუმ 3 წევრის მოთხოვნით. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარეობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით.

3. საბჭოს სხდომები ღიაა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები/სპეციალისტები; საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

საბჭოს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან.

5. მასალები საბჭოს სხდომის მოწვევამდე ერთი კვირით ადრე საბჭოს სხდომაზე განსახილველად მომზადებული საკითხის თაობაზე წარედგინება საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოს საბჭოს წევრებისათვის საბჭოს მასალებისა და დღის წესრიგის მიწოდებას.

6. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

7. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმას.

8 საბჭოს მიერ განხილული საკითხების რეალიზაციის მიზნით საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმის სახით.

9. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და საქმისწარმოების განხორციელებას, მათ შორის, ოქმების და სამუშაო ჯგუფის სამიანობისთვის სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარმოებას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. საბჭოს გაუქმების, აგრეთვე მის შემადგენლობაში და საბჭოს საქმიანობის წესში ცვლილებების შეტანის საკითხს წყვეტს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო.